საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიქელაძე მაყვალა გიორგის ასული

მ. მიქელაძე

მიქელაძე მაყვალა გიორგის ასული (დ. 16.V. 1936, თელავი), ენათმეცნიერი. ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი (2004), პროფესორი (2009). 1958 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი კავკ. ენების მიმართულებით. 1986–98 იყო თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის სამეცნ. საბჭოს სწავლული მდივანი; ფილოლ. დეპარტამენტის ხელმძღვ. ქართ. ენის მიმართულებით (2005–09), ამავე დეპარტამენტის ასოც. პროფ. (2009-იდან დღემდე). მისი სამეცნ. კვლევის სფეროა ქართული და იბერიულ-კავკასიური ენები, ძირითადად კი – წოვათუშური ენა.

მ. ავტორია მონოგრაფიებისა: „ინტერფერენტული პროცესები წოვათუშურ ენაში“ (2008); „წოვათუშური ზმნის მორფოლოგიის საკითხები“ (2013); „თანამედროვე წოვათუშური ენის მარტივი წინადადების სინტაქსი“ (2015); „წოვათუშური ენის ფრაზეოლოგია“ (2016), „თანამედროვე წოვათუშური ენის შერწყმული და რთული წინადადების სინტაქსი“ (2018). 2015 გამოვიდა მისი მოთხრობების კრებული „ძალიან ახლოს ცასთან“.

ს. მეტრეველი